

შპს „ინსტა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და მმართველობის ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	21
5. ძირითადი საშუალებები	22
6. საინვესტიციო ქონება.....	23
7. არამატერიალური აქტივები.....	24
8. მარაგები	24
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	25
10. გაცემული ავანსები	25
11. საგადასახადო აქტივი.....	25
12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	26
13. კაპიტალი.....	26
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
15. მიღებული ავანსები	26
16. ამონაგები.....	26
17. რეალიზაციის თვითღირებულება	26
18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	27
19. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	27
20. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).....	27
21. მოგების გადასახადი.....	28
22. პირობითი ვალდებულებები	28
23. ფინანსური რისკების მართვა.....	28
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
25. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	32

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინსტა“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ინსტა“-სა და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 24 ნოემბერს, შესაბამისად, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების მდგომარეობასა და რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრავში, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2021 წლის სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული წლის მოგების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

ჯგუფის 2021 წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია 619,502 ლარის ოდენობის საკურსო სხვაობის წმინდა ეფექტი. 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნაშთების შესახებ ბუღალტრული ჩანაწერები. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნულ ოდენობასთან დაკავშირებით და ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით იმის დადგენა, რომ 2021 წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ამ მუხლის ღირებულება მთლიანად ეკუთვნოდა თუ არა 2021 წელს.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან ბუღალტრულ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2022 წლის 29 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინსტა“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ინსტა“-სა და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 24 ნოემბერს, შესაბამისად, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებოვართ. ჩვენ ვერ შევძელით 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების მდგომარეობასა და რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრავში, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2021 წლის სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული წლის მოგების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

ჯგუფის 2021 წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია 619,502 ლარის ოდენობის საკურსო სხვაობის წმინდა ეფექტი. 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნაშთების შესახებ ბუღალტრული ჩანაწერები. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნულ ოდენობასთან დაკავშირებით და ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით იმის დადგენა, რომ 2021 წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ამ მუხლის ღირებულება მთლიანად ეკუთვნოდა თუ არა 2021 წელს.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან ბუღალტრულ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

Member of Nexia International

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2022 წლის 29 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,339,282	11,068,467
საინვესტიციო ქონება	6	7,839,167	4,872,340
არამატერიალური აქტივები	7	89,139	107,957
სავაჭრო მოთხოვნები	9	600,741	-
		18,868,329	16,048,764
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	9,104,624	8,192,878
სავაჭრო მოთხოვნები	9	3,365,750	6,746,243
გაცემული ავანსები	10	957,724	542,495
საგადასახადო აქტივი	11	12,841	25,965
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	1,759,289	1,324,522
		15,200,228	16,832,103
სულ აქტივები		34,068,557	32,880,867
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	14,366	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5	3,769,716	3,769,716
გაუნაწილებელი მოგება	13	23,893,157	24,692,146
სულ კაპიტალი		27,677,239	28,463,862
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	336,704	1,339,474
		336,704	1,339,474
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	955,125	487,297
მიღებული ავანსები	15	4,138,525	1,613,556
გასაცემი დივიდენდი		960,964	976,678
		6,054,614	3,077,531
სულ ვალდებულებები		6,391,318	4,417,005
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		34,068,557	32,880,867

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-32 გვერდებზე, შპს „ინსტა“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2022 წლის 29 სექტემბერი კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

გიორგი ბახსოლიანი
დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,339,282	11,068,467
საინვესტიციო ქონება	6	7,839,167	4,872,340
არამატერიალური აქტივები	7	89,139	107,957
სავაჭრო მოთხოვნები	9	600,741	-
		18,868,329	16,048,764
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	9,104,624	8,192,878
სავაჭრო მოთხოვნები	9	3,365,750	6,746,243
გაცემული ავანსები	10	957,724	542,495
საგადასახადო აქტივი	11	12,841	25,965
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	1,759,289	1,324,522
		15,200,228	16,832,103
სულ აქტივები		34,068,557	32,880,867
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	14,366	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5	3,769,716	3,769,716
გაუნაწილებელი მოგება	13	23,893,157	24,692,146
სულ კაპიტალი		27,677,239	28,463,862
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	336,704	1,339,474
		336,704	1,339,474
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	955,125	487,297
მიღებული ავანსები	15	4,138,525	1,613,556
გასაცემი დივიდენდი		960,964	976,678
		6,054,614	3,077,531
სულ ვალდებულებები		6,391,318	4,417,005
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		34,068,557	32,880,867

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-32 გვერდებზე, შპს „ინსტა“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2022 წლის 29 სექტემბერი კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

გიორგი ბახსოლიანი
დირექტორი

29 სექტემბერი, 2022



შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<i>2021</i>	<i>2020</i>
ამონაგები	16	14,872,583	13,853,311
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(9,992,139)	(9,313,116)
საერთო მოგება		4,880,444	4,540,195
შრომის ანაზღაურების ხარჯი	19	(2,125,702)	(2,183,831)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(271,992)	(269,408)
უიმედო სავაჭრო მოთხოვნების და სხვა აქტივების ხარჯი		(1,662,048)	(2,416,700)
ცვეთა და ამორტიზაცია		(701,952)	(560,838)
საკონსულტაციო ხარჯები		(224,505)	(183,597)
რეკლამა და მარკეტინგი		(102,869)	(43,353)
მიწოდების ხარჯები		(35,426)	(33,412)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა		(266,858)	(166,396)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(63,422)	(193,944)
ფინანსური ხარჯი		(12,708)	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(587,038)	(1,511,284)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	20	(12,034)	(272,226)
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	6	264,066	3,928,064
საკუროსო სხვაობის წმინდა შედეგი		619,502	352,100
მოგება დაბეგვრამდე		284,496	2,492,223
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(83,449)	(128,486)
წლის წმინდა მოგება		201,047	2,363,737
<i>სხვა სრული შემოსავალი:</i>			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის ცვლილება	5	-	2,990,802
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		201,047	5,354,539

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 13)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 13)	ძირითადი საშუალებების გადაფასები რეზერვი (შენიშვნა 5)	სულ საკუთარი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	24,338,697	778,914	25,119,611
შვილობილი კომპანიის შემოსვლა	-	(10,288)	-	(10,288)
წლის წმინდა მოგება	-	2,368,167	-	2,363,737
სხვა სრული შემოსავალი	-	-	2,990,802	2,990,802
მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,353,449	2,990,802	5,344,251
გამოცხადებული დიდენდი	-	(2,000,000)	-	(2,000,000)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	24,692,146	3,769,716	28,463,862
წლის წმინდა მოგება	-	201,047	-	201,047
საწესდებო კაპიტალი ზრდა	12,366	-	-	12,366
გამოცხადებული დიდენდი	-	(1,000,036)	-	(1,000,036)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,366	23,893,157	3,769,716	27,677,239

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნები	2021	2020
საოპერაციო საქმიანობა			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		18,395,913	16,140,243
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები		241,563	144,274
მიღებული ავანსები		4,027,575	1,902,957
მომწოდებლისგან დაბრუნებული თანხები		35,304	33,900
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების უკან დაბრუნება		893,400	332,800
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		23,593,755	18,554,174
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(10,199,132)	(9,053,097)
კლიენტისთვის დაბრუნებული თანხები		(106,657)	(55,252)
შრომის ანაზღაურება		(3,185,050)	(3,437,600)
მივლინება		-	-
გადახდილი გადასახადები		(4,071,294)	(3,332,407)
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები		(906,033)	(369,844)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(173,255)	(115,769)
იმპორტის გადასახადი		-	-
კომუნიკაციის ხარჯები		(98,444)	(93,566)
საკონსულტაციო ხარჯები		-	-
ბანკის ხარჯები		(46,394)	(38,936)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		4,807,496	2,057,703
საინვესტიციო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		-	78,551
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		(2,934,748)	(344,058)
შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვა		(646,680)	(1,400,640)
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,581,428)	(1,666,147)
საიფინანსო საქმიანობა			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		12,366	-
დივიდენდის გადახდა	13	(966,777)	(1,663,072)
ნეტო ფულადი სახსრები საიფინანსო საქმიანობიდან		(954,411)	(1,663,072)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა / (გასვლა) წლის განმავლობაში		271,657	(1,271,516)
სავალუტო კურსის ეფექტი		163,110	205,742
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	12	1,324,522	2,390,296
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	12	1,759,289	1,324,522

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. შესავალი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ინსტა“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 1998 წლის 9 თებერვალს დაფუძნდა და მდებარეობს საქართველოში. იგი დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 202057264. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჭაქარაძის ქ. N8.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს: „ინსტა“-ის 100%-ის მფლობელია გიორგი ბახსოლიანი.

კომპანია და მისი შვილობილი საწარმო ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც „ჯგუფი“. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 23-ე შენიშვნაში.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო სისტემების პროექტირება და სრული ელექტრო გადაწყვეტილებები. სამონტაჟო და საპროექტო სამუშაოები, ძალოვანი და მართვის ფარების წარმოება, ელექტრო სამონტაჟო საქონელის საცალო და საბითუმო გაყიდვები.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის გიორგი ბახსოლიანი.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, მთლიანად ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2021 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებულს მსს ფასს მე-9 განყოფილება „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების“ მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა**

ჯგუფის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვეყნებოდა დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

(ე) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს „ინსტა“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - ჯგუფი) ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

2021 წლის განმავლობაში ჯგუფი ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი კომპანია	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიციის ღირებულება	ჯგუფში შემოსვლის თარიღი
შპს დილაითი (საქართველო)	100	საქართველო	2,800,416	19/12/2020

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების ცალკეულ კლასებს ჯგუფი აღრიცხავს როგორც თვითღირებულების, ასევე გადაფასების მოდელის მეშვეობით.

მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს ჯგუფი აფასებს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ რეალური ღირებულებით, შენობა-ნაგებობების შემდგომი ცვეთის გამოკლებით. გადაფასება ხდება სულ მცირე ყოველ სამ წელიწადში, იმ შემთხვევაში თუ საწარმო საჭიროდ არ მიიჩნევს გადაფასების უფრო რეგულარულად ჩატარებას იმაში დასარწმუნებლად, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივის რეალური ღირებულებისგან.

გადაფასების შედეგად მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულების ზრდის თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და დაგროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის სახელწოდებით თუ ისინი არ აკომპენსირებენ იმავე აქტივის გადაფასებით განპირობებულ შემცირების თანხას, რომელიც ადრე აღიარებული იყო მოგებაში ან ზარალში. გადაფასების შედეგად მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულების შემცირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ყველა სხვა სახის შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების სხვა დანარჩენ კლასებს ჯგუფი აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით, მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ა) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	5-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-20 წელი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	1-6 წელი
მცირეფასიანი ინვენტარი	2-10 წელი

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- ჯგუფის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

(ბ) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს აგრეთვე დაუსრულებელ მშენებლობებს, რომლებიც დასრულების შემდეგ საინვესტიციო ქონება გახდება.

თავდაპირველი აღიარება

საინვესტიციო ქონება პირველადი აღიარებისას აღირიცხება თივთღირებულებით, რომელიც მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. საკუთარი ძალებით შექმნილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ხარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და კაპიტალიზებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულების მოდელით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება ან ზარალში ასახვით.

(გ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე.

თავდაპირველი აღიარება

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია ჯგუფის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახდელებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე და უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ ხარჯებს.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შემენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	3-10 წელი
ლიცენზიები	1-10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(დ) არა ფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურების ინდიკატორებს და არსებობის შემთხვევაში აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივების საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული მის გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირეს დონეზე, რისთვისაც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი სახსრების შემოძინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული). არა ფინანსური აქტივების წინა პერიოდში განხორციელებული გაუფასურებები (გარდა გუდვილისა) მოწმდება შესაძლო ამორტიზებაზე თითოეული სააღრიცხვო პერიოდისთვის.

(ე) მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში და წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) მარაგები (გაგრძელება)

მარაგი შემდგომ ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. ჯგუფის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს, მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს და გაცემულ სესხებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტრირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა ჯგუფში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და მიღებული ავანსებს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დასრულება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ზ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

(თ) საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება ჯგუფის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

(ი) ამონაგები და ხარჯების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან აკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად მიღებული ამონაგები

ჯგუფი მის მომხმარებლებს სთავაზობს ელექტრო მოწყობილობების საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოებს. როდესაც შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და ხარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) იჯარა

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მეიჯარე

ჯგუფი საიჯარო შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მოხმარებლის მიერ სარგებლის მიღების გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს იმავე გრაფიკს.

(ლ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. ჯგუფი ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

(მ) დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებულია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

(ნ) მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად. 15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ნ) მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრვლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ო) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლოები

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეუძლებელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(პ) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

(ჟ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელსაც გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2021	2020
1 USD/GEL	3.2209	3.1097
1 EUR/GEL	3.8140	3.5519

(რ) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

შენიშვნების გადაფასება (ძირითადი საშუალებები)

ჯგუფმა ძირითადი საშუალებების შემადგენელ შენობა-ნაგებობების კლასს აღრიცხავდა თავდაპირველი აღიარების შემდგომ თვითღირებულების მოდელის საფუძველზე, მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

2020 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა მიწაზე და აღნიშნულ შენობა-ნაგებობების კლასზე შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და თვითღირებულების მოდელიდან გადავიდა გადაფასების მოდელზე. ჯგუფს მიაჩნია რომ აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას ჯგუფის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებების გავლენის შესახებ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ჯგუფმა აღნიშნული ცვლილება ასახა პერსპექტიულად და არ მომხდარა წინა წლის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების რეტროსპექტული გადანაგარიშება შესაძარისობის მიზნებისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებული მხარეების გარიგებები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განყოფილება 11-ი მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილშ. მშენებლობა	სხვა	სულ
თვითღირებულება:									
1 იანვარი 2020	385,101	5,041,857	653,234	691,223	321,666	109,416	107,334	25,231	8,348,141
შემოსვლა	10,000	13,669	364,961	1,375	24,906	16,108	-	90,699	521,719
გასვლა	-	-	-	(177,223)	-	-	-	-	(177,223)
ცვეთის ამობრუნება	-	(1,357,718)	-	-	-	-	-	-	(1,357,718)
გადაფასება	3,463,198	2,277,985	-	-	-	-	-	-	5,741,183
გაუფასურების	-	(254,282)	-	-	-	-	-	-	(254,282)
შედეგად მიღებული ზარალი									
31 დეკემბერი 2020	3,858,299	5,721,511	1,018,195	515,375	346,572	125,524	107,334	25,231	12,821,819
შემოსვლა	-	-	102,005	68,044	25,009	1,224	13,361	847	231,995
გასვლა	-	-	(278,365)	-	-	-	-	-	(278,365)
31 დეკემბერი 2021	3,858,299	5,721,511	841,835	583,419	371,581	126,748	120,695	26,078	12,775,449
აკუმულირებული ცვეთა:									
1 იანვარი 2020	-	1,356,732	246,095	198,829	223,320	61,144	5,901	-	2,650,204
წლის ცვეთის ხარჯი	-	201,257	82,753	49,365	25,934	14,366	15,980	-	532,997
ცვეთის ამობრუნება	-	(1,356,401)	-	-	-	-	-	-	(1,356,401)
გასვლები	-	-	-	(73,447)	-	-	-	-	(73,447)
31 დეკემბერი 2020	-	1,356,732	246,095	198,829	223,320	61,144	5,901	-	1,753,353
წლიური ცვეთა	-	396,839	63,097	44,257	28,177	14,923	-	-	683,134
გასვლები	-	-	(320)	-	-	-	-	-	(320)
31 დეკემბერი 2021	-	598,427	391,625	219,004	277,431	90,433	21,881	-	2,436,167

წმინდა საბალანსო ღირებულება:

31 დეკემბერი 2020	3,858,299	5,519,923	689,347	340,628	97,318	50,014	85,453	25,231	402,254	11,068,467
31 დეკემბერი 2021	3,858,299	5,123,084	450,210	364,415	94,150	36,315	98,814	26,078	287,917	10,339,282

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2021 წლის 12 აგვისტოს დამოუკიდებელმა შემფასებელმა შეაფასა მიწა და შენობა-ნაგებობები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ უახლეს საბაზრო ოპერაციებს.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	3,769,716	778,914
გადაფასების რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	-	2,990,802
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,769,716	3,769,716

თუ შენობა-ნაგებობების მიმართ გამოყენებული იქნებოდა თვითღირებულების მოდელი, საბალანსო ღირებულება აისახება შემდეგნაირად:

თვითღირებულება	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი 2019	5,041,186	5,041,186
შვილობილი კომპანიის შემოსვლა	51,208	51,208
31 დეკემბერი 2020	5,092,394	5,092,394
შემოსვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	5,092,394	5,092,394
აკუმულირებული ამორტიზაცია		
31 დეკემბერი 2019	1,620,203	1,620,203
შვილობილი კომპანიის შემოსვლა	62,214	62,214
წლიური ცვეთა	201,257	201,257
31 დეკემბერი 2020	1,620,203	1,620,203
წლიური ცვეთა	201,257	201,257
31 დეკემბერი 2021	1,759,246	1,759,246
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2019	3,684,454	3,684,454
31 დეკემბერი 2020	3,472,192	3,472,192
31 დეკემბერი 2021	3,295,609	3,295,609

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2019	3,477,267	1,395,073	-	4,872,340
შეძენა	-	-	-	-
გადაფასება	2,720,133	1,207,931	-	3,928,064
ცვეთის ამობრუნება	-	(76,591)	-	(76,591)
31 დეკემბერი 2020	3,477,267	1,395,073	-	4,872,340
შეძენა	-	-	2,702,761	2,702,761
გადაფასება	303,497	-	-	303,497
გასვლა	-	(39,431)	-	(39,431)
31 დეკემბერი 2021	3,780,764	1,355,642	2,702,761	7,839,167
აკუმულირებული ცვეთა				
31 დეკემბერი 2019	-	69,276	-	69,276
ცვეთის ამობრუნება	-	7,315	-	7,315
ცვეთის ამობრუნება	-	(76,591)	-	(76,591)
31 დეკემბერი 2020	-	-	-	-
წლის ცვეთის დარიცხვა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	3,477,267	1,395,073	-	4,872,340
31 დეკემბერი 2021	3,780,764	1,355,642	2,702,761	7,839,167

ჯგუფი დამოუკიდებელ მხარეებზე იჯარით გასცემს რამდენიმე შენობას, შეუქცევადი ფიქსირებულ განაკვეთიანი საოპერაციო იჯარის ფარგლებში, საბაზრო ფასად. ჯგუფის არცერთი იჯარა შეიცავს შესყიდვის პირობას.

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2019	132,417	157,351	289,768
შეძენა	10,021	-	10,021
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	142,438	157,351	299,789
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	142,438	157,351	299,789
აკუმულირებული ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2019	125,690	45,616	171,306
ამორტიზება	8,279	12,247	20,526
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	133,969	57,863	191,832
ამორტიზება	6,605	12,213	18,818
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	125,690	45,616	210,650
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	8,469	99,488	107,957
31 დეკემბერი 2021	16,748	111,736	89,139

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. მარაგები

მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მარაგები	12,488,147	11,301,455
მარაგები გზაში	-	58,639
საწვავი	-	-
მომველებული მარაგების ანარიცხი	(3,410,770)	(3,192,709)
სხვა	27,247	25,493
სულ მარაგები	9,104,624	8,192,878

მომველებული მარაგების ანარიცხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
მომველებული მარაგების ანარიცხი		
1 იანვრის მდგომარეობით	(3,192,709)	(2,461,944)
ზრდა	(1,096,350)	(1,237,874)
ანარიცხის ამობრუნება	878,289	507,109
სულ მომველებული მარაგების ანარიცხი	(3,410,770)	(3,192,709)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	8,703,614	9,821,318
გაუფასურების რეზერვი	(4,737,123)	(3,075,075)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,966,491	6,746,243

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან.

სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალეების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
გაუფასურების რეზერვი		
1 იანვრის მდგომარეობით	3,075,075	728,824
ზრდა წლის განმავლობაში	1,662,048	2,346,251
სულ გაუფასურების რეზერვი	4,737,123	3,075,075

10. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს რომელთა ჯამური ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის ბოლოს შეადგენს 957,724 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: 542,495 ლარი).

11. საგადასახადო აქტივი

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	18,661	7,822
მოთხოვნისას გადასახადელი საბანკო ბალანსები, მათ შორის:	1,740,628	1,316,700
- ლარში დენომინირებული	592,113	581,631
- აშშ დოლარში დენომინირებული	503,368	541,645
- ვეროში დენომინირებული	645,147	193,424
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,759,289	1,324,522

მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები 1,740,628 ლარის ოდენობით განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკებში ფიჩის რეიტინგის მიხედვით (2020 წლის 31 დეკემბერი: 1,316,700 ლარი).

13. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა სრულად შეტანილი 14,366 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,000 ლარი).

2021 წელს მოხდა დივიდენდის გამოცხადება 1,000,036 ლარის და გადახდა 1,014,613 ლარის ოდენობით (2020: 2,000,000 ლარის გამოცხადება და 1,773,759 ლარის გადახდა).

კაპიტალის მართვის მიზნები აღწერილია 23-ე შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	336,704	1,339,474
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	900,458	481,296
გადასახდელი ხელფასები	54,667	6,001
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,291,829	1,826,771

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის წილის ნასყიდობის შედეგად გადავადებულ გადასახდელს.

15. მიღებული ავანსები

ჯგუფი მიღებული ავანსები წარმოადგენს კონტრაგენტებისგან საპროექტო-სამონტაჟო სამუშაოებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს, რომელთა ჯამური ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის ბოლოს შეადგენს 4,138,525 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: 1,613,556 ლარი).

16. ამონაგები

ჯგუფის ამონაგები 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
ამონაგები საპროექტო, სამონტაჟო მომსახურებიდან	7,346,736	8,472,366
ამონაგები მარაგის რეალიზაციიდან	7,412,815	5,282,536
შემოსავალი იჯარიდან	113,032	98,409
სულ ამონაგები	14,872,583	13,853,311

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
გამოყენებული მასალები	(3,333,435)	(3,386,781)
გაყიდული მარაგების ღირებულება საცალო რეალიზაციიდან	(4,271,167)	(3,294,242)
პირდაპირი ხელფასები	(2,002,803)	(1,890,905)
მიღებული მომსახურება	(123,937)	(10,423)
სხვა	(42,736)	-
მომცელებული მარაგები	(218,061)	(730,765)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(9,992,139)	(9,313,116)

მომცელებული მარაგების ანარიცხის მოძრაობა განხილულია მე-9 შენიშვნაში.

18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
ბანკის საკომისიო	(46,337)	(32,929)
დაზღვევის ხარჯი	(45,531)	(33,892)
დაცვის ხარჯი	(44,083)	(40,881)
იჯარის ხარჯი	(34,412)	(88,092)
ლიცენზიის ხარჯი	(30,632)	(12,359)
სამეურნეო ხარჯი	(28,340)	(29,556)
რემონტის ხარჯი	(10,374)	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	(3,987)	(3,898)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(28,296)	(27,801)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(271,992)	(269,408)

19. შრომის ანაზღაურების ხარჯი

ჯგუფის შრომის ანაზღაურების ხარჯი 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(1,904,730)	(1,922,222)
პრემია, ბონუსები	(147,438)	(154,253)
სხვა სარგებელი	(73,534)	(107,356)
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	(2,125,702)	(2,183,831)

20. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

ჯგუფის არასაოპერაციო შემოსავალი 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
არასაოპერაციო შემოსავალი	58,162	7,192
არასაოპერაციო ხარჯი	70,196	283,849
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	(12,034)	(276,656)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***21. მოგების გადასახადი**

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% * 15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2021 და 2020 წლებში ჯგუფმა გაანაწილა დივიდენდი და შესაბამისად აქვს მოგების გადასახადის ხარჯი 2021 წელს 83,449 ლარი (2020: 128,486 ლარი).

22. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

23. ფინანსური რისკების მართვა**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების

ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. რადგან ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო სამონტაჟო და საცალო რეალიზაცია 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,966,491	6,746,243
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,740,628	1,316,700
სულ მაქსიმალური გავლენა რისკის მიმართ	5,707,119	8,062,943

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოემყვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	610,774	645,144	503,371	1,759,289
სავაჭრო მოთხოვნები	1,136,090	669,308	2,161,093	3,966,491
	1,746,864	1,314,452	2,664,464	5,725,780
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	124,494	223,798	943,537	1,291,829
	124,494	223,798	943,537	1,291,829
ღია საბალანსო პოზიცია	1,622,370	1,090,654	1,720,927	4,433,951

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	589,452	193,422	541,648	1,324,522
სავაჭრო მოთხოვნები	2,334,620	3,012,138	1,399,485	6,746,243
	2,924,072	3,205,560	1,941,133	8,070,765
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	245,909	21,189	1,559,673	1,826,771
	245,909	21,189	1,559,673	1,826,771
ღია საბალანსო პოზიცია	2,678,163	3,184,371	381,460	6,243,994

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკის მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
	+20%	+20%
სავალუტო რისკის მგრძნობელობა		
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	344,185	76,292
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	218,131	636,874

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც უპირატესად სესხებისგან შედგება. კომპანია სახსრებს აბანდებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შემოსოს სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 11). მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფულადი საშუალებების ლიკვიდურობის პორტფელი შესაძლოა რეალიზდეს ნაღდ ფულზე ერთი დღის განმავლობაში, რათა დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,759,289	-	1,759,289
სავაჭრო მოთხოვნები	4,028,049	392,160	4,420,209
	5,787,338	392,160	6,179,498
სავაჭრო ვალდებულებები	323,375	336,704	660,079
	323,375	336,704	660,079
ლიკვიდურობის სხვაობა	5,463,963	55,456	5,519,419
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	5,463,963	55,456	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,324,522	-	1,324,522
სავაჭრო მოთხოვნები	6,746,243	-	6,746,243
	8,070,765	-	8,070,765

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	487,297	1,339,474	1,826,771
	487,297	1,339,474	1,826,771
ლიკვიდურობის სხვაობა	7,583,467	(1,339,474)	6,243,993
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	7,583,467	(1,339,474)	

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელსთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს ჯგუფის დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკ ქვეშ დააყენოს ჯგუფის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს გავითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად ურთიერთდაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი არიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთმხარეს შეუძლია, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

(ა) ერთობლივი კონტროლის მქონე ორგანიზაციებთან ურთიერთობა

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	289,113	159,810
გაცემული სესხი	70,449	70,449

(ბ) ოპერაციები ხელმძღვანელ პერსონალთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2021	2020
ხელფასი და სხვა სარგებელი	186,761	161,768

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

25. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ჯგუფმა მოახდინა 2,594,698 ლარის ღირებულების საინვესტიციო ქონებაში აღრიცხული მიწის ნაკვეთის და 2,702,761 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი მშენებლობის რეალიზაცია.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2021 წელი

(ქართული ლარი)

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ინსტას“ ძირითადი საქმიანობაა ელექტროტექნიკური სამუშაოების დაპროექტება-შესრულება, ელექტროგამანაწილებელი ფარების წარმოება და ელექტროსამონტაჟო მასალებით ვაჭრობა.

კომპანიას გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- საპროექტო სამსახური
- პროექტების მართვის სამსახური
- სუსტი დენების განყოფილება
- საოპერაციო განყოფილება
- გაყიდვების განყოფილება
- ლოჯისტიკის და შესყიდვების განყოფილება
- ელექტროგამანაწილებელი კარადების/ფარების საწარმო
- შრომის უსაფრთხოებისა და ხარისხის მართვის განყოფილება

2. ორგანიზაციული სტრუქტურა

ჯგუფი აერთიანებს 3 კომპანის: შპს „ინსტა“, შპს „დილაითი“ და შპს „პოლიეთილენი“;

კომპანია „ინსტა“ დაფუძნებულია 1998 წლის თებერვალში, 100% წილის მფლობელია ფ/პ გიორგი ბახსოლიანი;

ჯგუფში შემავალი კომპანიები შპს „დილაითი“ და შპს „პოლიეთილენი“ იქნა შეძინილი 2020 წელს საინვესტიციო და სამომავლო განვითარების მიზნებისთვის. შპს „დილაითის“ 100% წილის მფლობელია შპს „ინსტა“ არის, შპს „პოლიეთილენის“ 100% წილის მფლობელია შპს „დილაითი“.

3. ფილიალები

სათაო ოფისი გარდა, ჯგუფი ოპერირებს 2 მაღაზიას, საწყობს და საამწყო საამქროს. ყველა ფილიალი ქალაქ თბილისში მდებარეობს. ერთი მაღაზია ვაჭრობს მაღალ ხარისხიანი ელექტრო სამონტაჟო მასალებით, მეორე მაღაზია კი დიზაინერული სანათებით და ფურნიტურით. ინსტას ძირითადი საქმიანობის ხერხემალი მისი ლოჯისტიკური ცენტრი და საწყობია, საიდანაც მარაგდება ყველა ობიექტი. საამწყობო საამქროში ხდება ელექტრო გამანაწილებელი და მართვის კარადების წარმოება, როგორც დიდი პროექტების ჭრილში, ისე პირადპირი დამკვეთებისთვის.

4. არა-ფინანსური მაჩვენებლები/ადამიანური რესურსები

ჯგუფში დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების განვითარებას და მათი პოტენციალის გამოვლენას, რაც მუდმივი ტრენინგების და სწავლების საშუალებით მიიღწევა. ჯგუფისთვის აუცილებელია თითოეულ თანამშრომელს მიეცეს თანაბარი შანსი საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენაში და ამით ხელი შეუწყოს როგორც საკუთარი თავის, ისე კომპანიის განვითარებას.

(ქართული ლარი)

ჯუგუფში შემავალი კომპანიები, სისტემატური ტრენინგების საშუალებით, ზრუნავენ თანამშრომლების უნარებისა და კომპეტენციების გაღრმავებაზე. თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება მიიღონ საქართველოში არსებულ უმსხვილეს კომპანიებთან და საერთაშორისო ბრენდებთან მუშაობის გამოცდილება.

თანამშრომლის შერჩევის პროცესი რამოდენიმე ეტაპისგან შედგება. ვაკანტური პოზიციიდან გამომდინარე იგი მოიცავს სატელეფონო ან/და პირად გასაუბრებას, ასევე წერილობით ტესტს. კანდიდატის მოძიება ხდება როგორც LinkedIn-ის საშუალებით, ასევე სხვადასხვა დასაქმების გვერდებზე ვაკანსიის გამოცხადების გზით.

5. ფინანსური მაჩვენებლები

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

	2021	2020
ამონაგები	14,872,583	13,853,311
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9,992,139)	(9,313,116)
საერთო მოგება	4,880,444	4,540,195
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(2,125,702)	(2,183,831)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(271,992)	(269,408)
უიმედო სავაჭრო მოთხოვნების და სხვა აქტივების ხარჯი	(1,662,048)	(2,416,700)
ცვეთა და ამორტიზაცია	(701,952)	(560,838)
საკონსულტაციო ხარჯები	(224,505)	(183,597)
რეკლამა და მარკეტინგი	(102,869)	(43,353)
მიწოდების ხარჯები	(35,426)	(33,412)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(266,858)	(166,396)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(63,422)	(193,944)
ფინანსური ხარჯი	(12,708)	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(587,038)	(1,511,284)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(12,034)	(272,226)
საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული შემოსავალი	264,066	3,928,064
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	619,502	352,100
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრამდე	284,496	2,492,223
მოგების გადასახადის ხარჯი	(83,449)	(128,486)
წლის მოგება/ (ზარალი)	201,047	2,363,737
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	-	2,990,802
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	201,047	5,354,539

(ქართული ლარი)

5. ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	10,339,282	11,068,467
საინვესტიციო ქონება	7,839,167	4,872,340
არამატერიალური აქტივები	89,139	107,957
სავაჭრო მოთხოვნები	600,741	-
	18,868,329	16,048,764
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	9,104,624	8,192,878
სავაჭრო მოთხოვნები	3,365,750	6,746,243
გაცემული ავანსები	957,724	542,495
საგადასახადო აქტივი	12,842	25,965
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,759,289	1,324,522
	15,200,228	16,832,103
	34,068,557	32,880,867
სულ აქტივები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	14,366	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	3,769,716	3,769,716
გაუნაწილებელი მოგება	23,893,157	24,692,146
	27,677,239	28,463,862
სულ კაპიტალი		
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	336,704	1,339,474
	336,704	1,339,474
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	955,125	487,297
მიღებული ავანსები	4,138,525	1,613,556
გასაცემი დივიდენდი	960,964	976,678
	6,054,614	3,077,531
	6,391,318	4,417,005
სულ ვალდებულებები		
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	34,068,557	32,880,867

ძირითადი კოეფიციენტები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2021	2020
აბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Current Ratio)	3	5
წრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	1	3
რთობლივი მოგების მარჟა (Gross Profit Margin)	33%	33%

*(ქართული ლარი)***6. მისია**

კომპანიის მისიაა პარტნიორებისა და კლიენტებისთვის უზრუნველყოს უსაფრთხო, ხარისხიანი და თანამედროვე ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისა და პროდუქციის მიწოდება, იყოს ახალი პრაქტიკისა და პროგრესული მიდგომების ინიციატორი, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის საქმიანობის სფეროს განვითარებას საქართველოში.

ინსტას ყველა ძირითადი პროცესი სერთიფიცირებულია გერმანული საერთაშორისო კომპანია TÜV Süd-ის მიერ ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით, ამ სისტემის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება მინიმუმ ერთი შიდა და ერთი გარე აუდიტი. წლიური საკონტროლო აუდიტი კომპანიამ წარმატებით გაიარა. კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი მასალები და კომპონენტები წარმოებულია ისეთი წამყვანი დასავლეთ ევროპული კომპანიების მიერ, როგორებიც არიან სიმენსი, ლაპ კაბელი, ფესტო, იტონი და სხვა.

კომპანიას გამოყოფილი ჰყავს თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია უშუალოდ შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმებაზე.

პროცესების უკეთესი მართვის ხელშეწყობისთვის, კომპანიაში დაინერგა საერთაშორისო ERP სისტემა SAP Business One. სისტემა დაიხვეწა 2020 წლის განმავლობაში.

კომპანია სისტემატურად ატარებს მომხმარებლებისა და დამკვეთების კმაყოფილების კვლევას, რის შედეგადაც ახდენს პროდუქტების და პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას.

კომპანია ასევე პერიოდულად ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რის მიხედვითაც ცდილობს არსებული პრობლემები დაძლიოს და სამუშაო პირობები სისტემატურად გააუმჯობესოს.

7. რისკ ფაქტორები

მენეჯმენტის მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც შეამცირებს რისკებს, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

კომპანიის შემოსავლების და ზრდის ძირითადი წყარო საქართველოს სამშენებლო სფეროა. ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ როგორც დანარჩენ მსოფლიოს, ისე საქართველოს ეკონომიკას შეუქმნა პრობლემები. აღსანიშნავ რისკის ფაქტორებად რჩება სავალუტო კურსი და პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ადგილობრივ ბაზარზე. მნიშვნელოვანია ასევე საკრედიტო რისკი, რომლის შემცირებაც მენეჯმენტი სისტემატური პროცესების გაუმჯობესებით ახორციელებს.

რისკის ფაქტორს კვლავ წარმოადგენს გარკვეული სამშენებლო მასალების და შესრულებული სამუშაოების ნორმატივების და სტანდარტების არქონა ან არასათანადო შემოწმების მექანიზმები, რის გამოც კომპანია შესაძლებელია აღმოჩნდეს არა-თანაბარი კონკურენციის პირობებში.

8. სამომავლო გეგმები

არსებული გამოწვევების ფონზე, ინსტა კვლავაც აგრძელებს განვითარებას და აქტიურად აფართოებს განახლებადი ენერგიის მიმართულებით შეთავაზებებს. დაგეგმილია საწარმო შესაძლებლობების გაფართოება, თანამედროვე დანადგარების და პროცესების გაუმჯობესების მეშვეობით. ასევე დაგეგმილია საცალო და საბითუმო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება.

გიორგი ბახსოლიანი

დირექტორი

თბილისი, საქართველო

(ქართული ლარი)

6. მისია

კომპანიის მისიაა პარტნიორებისა და კლიენტებისთვის უზრუნველყოს უსაფრთხო, ხარისხიანი და თანამედროვე ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისა და პროდუქციის მიწოდება, იყოს ახალი პრაქტიკისა და პროგრესული მიდგომების ინიციატორი, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის საქმიანობის სფეროს განვითარებას საქართველოში.

ინსტას ყველა ძირითადი პროცესი სერთიფიცირებულია გერმანული საერთაშორისო კომპანია TÜV Süd-ის მიერ ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით. ამ სისტემის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება მინიმუმ ერთი შიდა და ერთი გარე აუდიტი. წლიური საკონტროლო აუდიტი კომპანიამ წარმატებით გაიარა. კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი მასალები და კომპონენტები წარმოებულია ისეთი წამყვანი დასავლეთ ევროპული კომპანიების მიერ, როგორებიც არიან სიმენსი, ლაპ კაბელი, ფესტო, იტონი და სხვა.

კომპანიას გამოყოფილი ჰყავს თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია უშუალოდ შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმებაზე.

პროცესების უკეთესი მართვის ხელშეწყობისთვის, კომპანიაში დაინერგა საერთაშორისო ERP სისტემა SAP Business One. სისტემა დაიხვეწა 2020 წლის განმავლობაში.

კომპანია სისტემატურად ატარებს მომხმარებლებისა და დამკვეთების კმაყოფილების კვლევას, რის შედეგადაც ახდენს პროდუქტების და პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას.

კომპანია ასევე პერიოდულად ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რის მიხედვითაც ცდილობს არსებული პრობლემები დაძლიოს და სამუშაო პირობები სისტემატურად გააუმჯობესოს.

7. რისკ ფაქტორები

მენეჯმენტის მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც შეამცირებს რისკებს, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

კომპანიის შემოსავლების და ზრდის ძირითადი წყარო საქართველოს სამშენებლო სფეროა. ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ როგორც დანარჩენ მსოფლიოს, ისე საქართველოს ეკონომიკას შეუქმნა პრობლემები. აღსანიშნავ რისკის ფაქტორებად რჩება სავალუტო კურსი და პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ადგილობრივ ბაზარზე. მნიშვნელოვანია ასევე საკრედიტო რისკი, რომლის შემცირებას მენეჯმენტი სისტემატური პროცესების გაუმჯობესებით ახორციელებს.

რისკის ფაქტორს კვლავ წარმოადგენს გარკვეული სამშენებლო მასალების და შესრულებული სამუშაოების ნორმატივების და სტანდარტების არქონა ან არასათანადო შემოწმების მექანიზმები, რის გამოც კომპანია შესაძლებელია აღმოჩნდეს არა-თანაბარი კონკურენციის პირობებში.

8. სამომავლო გეგმები

არსებული გამოწვევების ფონზე, ინსტა კვლავაც აგრძელებს განვითარებას და აქტიურად აფართოებს განახლებადი ენერგიის მიმართულებით შეთავაზებებს. დაგეგმილია საწარმო შესაძლებლობების გაფართოება, თანამედროვე დანადგარების და პროცესების გაუმჯობესების მეშვეობით. ასევე დაგეგმილია საცალო და საბითუმო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება.

გიორგი ბახსოლიანი

დირექტორი

თბილისი, საქართველო

